4 მაისი 1908 ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 42 ყოველკვირეული ჟურნალი № 42

[ნი]შადური» დღეიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ. ხოლო წლიურ ხელის მომწერთ (5 მ) [მი]ეგზავნება ყველა ძველი №№-ბი, ი. ჭავჭავაძის დიდი სურათი და «ნიშადურის კრებულები».

იყიდება წარსული წლის სრული კომპლექტი ყდით—2 მან.

[ა]მისამართი: Тифлисъ, Валеріану Гуніа, ред. „Нишадури".

პოლონეთის მწერლობა და ხელოვნება

ენრიკ სენკევიჩი
(შესანიშნავი მწერალი)

ენრიკ სემირადსკი
(გამოჩენილი მხატვარი).

მაისი

ვიშ ამ დილასა, სიცოცხლით სავსეს!
სიტურფე ცამდე ამაღლებულა
და სიხარული, მაისის ჟღერა,
მთელს ქვეყანაზე გამეფებულა.

[ი]რხევა მდელო აყვავებული,
[მ]ირბის მდინარე გაცოცხლებული,
და ფრინველთ გუნდი მაყრიონული
ჰგერს, სიამითა აღტაცებული...

მაგრამ ჰე, ღმერთო, როს დაგვიდგება
იგი მაისი ხშირსანატრელი,
რომ ბუნებისა დიადს მეჯლისში
ჩაგრულთ სიმღერაც ისმოდეს წრფელი?!.

ი. მჭედლიშვილი.

-ჩემი ჯმუნვა.

—

ის არ მაშინებს და არც მატირებს,
რომ ირგვლივ მტერი შემოგვხვევია!..
გარეშე მტერთან დავა და ბრძოლა
იმავ თავითვე ქართველს სჩვევია
    და „ჭირსა შინა“ გამაგრებული,
    როგორც ქვიტკირი ისე ყოფილა;
    აუტანია მას განსაცდელი,
    მაგრამ დამხობით არ დამხობილა!
მე ის მაღონებს, დღევანდელ ქართველს
ძველი ანდერძი რომ ავიწყდება
და ეროვნობის მაგარი ციხე
შეუგნებლობით შიგნიდგან სტყდება.
    მტერი იძახის: „ვინ გაიგონა
    ახლანდელ დროში ეროვნებაო?
    მხოლოდ ერთია „მუშათ საკითხი“
    გულს დაიბეჭდეთ „მარქსის მცნებაო“!
ამას ჩვენ გვირჩევს და თავისთვის კი
სულ სხვანაირად გაიყურება:
სცდილობს კისერი მოგვატეხოს!..
და მით თავისს ერს ემსახურება.
    ჩვენ ქართველებს კი „მეცნიერების
    უკანასკნელი სიტყვა“ გონიათ
    და მიაჩნიათ ჭეშმარიტებად,
    რაც კაჭკაჭივით გაუგონიათ.
მტერსაც ის უნდა: მოტყუებულ ერს,
უფრო ადვილად ჩაიგდებს ხელში
და ღონე მიხდილს შინაურ ბრძოლით,
ადვილად, მაგრად წაუჭერს ყელში.
    სულს მოიბრუნებს ჩვენს ნაოხარზე...
    ჩვენი დაჩაგვრა მისთვის ლხინია!
    ყველა მათგანი, სიტყვით ბულბული
    საქმით იგივე ტიმოშკინია!
სიტყვა სხვა არის, საქმე სულ სხვაა,
სხვა უძევსთ გულში მათ დაფარული! .
ხრიკია მხოლოდ პოლიტიკური
„ძმობა, ერთობა და სიყვარული“.
    მაგრამ არ სჯერათ ეს უბრალო რამ,
    დღეს მეთაურად გამოსულებსა.
    წარსულსა ჰგმობენ და მოელიან
    მომავლისაგან სასწაულებსა
და არ ჰფიქრობენ: ერს თუ წარსულში
ვერ აღუნიშნავს ცხოვრების კვალი
და მისი აწმყოც უვარგისია,
რაზედ ააგოს მან მომავალი?
    მწარე ოცნებით გატაცებულსა
    და ჩქარ სურვილით გაკერპებულებს
    ცარიელ სიტყვით, „გონდ ქეშმარიტად“
    ვინ დააჯერებს? ვინ მოიჯერებს?
ბავშვი, თუ ჰხედავს მახლობლად თაფლსა,
შეჭმის სურვილით სულ-წასულია
და არაფრისთვის არ დაგიჯერებს,
რომ ის მტრებისგან მოწამლულია!
    და ვაჟკაცი-კი წმინდა თაფლს ეძებს
    წინდახედულად წონით და ზომით
    და, ერთხელაც არის, ხელში ჩაიგდებ
    შინაურულად, ან ცხარე ომით!
ისევ თაფლია ცხოვრებისათვის
„ძმობა, ერთობა და სიყვარული“
და ღირს დალიოს იმის ძებნაში
ადამიანმა სული და გული.
    დალიოს, მაგრამ წინდახედულად,
    აუჩქარებლად, ღირსად და ფრთხილ
    რომ მისი შრომა და მისი ღვაწლი
    მის მოძმეებსაც შეერგოს ტკბილად.
იმას არ ეთქმის „ადამიანი“,
ვინც ღიარებს მარტო თავისს ერს
და სხვა ტომებს კი ისე შეჰყურებს
ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს
    დეე სუყველამ იბედნიეროს
    თვის სამშობლოში.. თავისს მხარეშ
    რომ მოძმე იყონ ერთი მეორის
    და არა მონა, ყმა და ფარეში!..
ვისაც არ ესმის ეს წმინდა მცნება
და სხვის დაჩაგვრა გულში აქვს მარად,
უნდა ავიღოთ მაზე მახვილი
და მოვიხმაროთ.. მხოლოდ კი ფარად!..
    მაგრამ ეს რჩევა დღევანდელ ქართ
    ვერ შეუგნია .. არ ეყურება.
    ჰგონია, თავს დებს სამშობლოსათვ
    და მისვე მტერს კი ემსახურება.
აი ეს არის მე რომ მაღონებს! .
ძველი ანდერძი რად გვავიწყდება?
და ეროვნული ქართული ციხე
შეუგნებლობით შიგნიდგან სტყდება.

ეკაკი.

სიმართლე!

(სურათი)

(ვუძღვნი თ—ს)

ცხოვრება ახორციელებს აზრთა მ
იმ მხარეს, რომელიც ნიადაგს ჰ
თავისთვის. ჰერცენი.

—

მე მას ვხედავდი. იგი აღარ შორდებოდ
გონებას... მუდამ ჟამს, ყოველს წამს, სიზმრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივ თვალწინ მედგა, ვსტკბებოდი მისი მზე-

დიდებული, მომხიბლავი და თავდავიწყებამდე ანი იყო მისი სიტურფე. იგი ბრწყინავდა ისმჭრელ სინათლით და რაღაც შორეულს, ქვეყანას—სამოთხეს მაგონებდა...

მეფური სიამაყე და გულზვიადობა ქვედაბუნს ობებს სპობდა, აღმოჰფხვრიდა გულის სილრ-ან, სადაც იგინი მიუდგომელს თავშესაფარს ებდნენ. ირგვლივ სიწმინდის და უმანკოების აჩნევდა. .

იგი შორს იყო ჩემგან... გარდაუვალი საზ-ი ვყოფდა ერთიმეორისგან. ერთი შეხედვა, ოდ ერთი მცირე მოძრაობაც კი სასწაულე-მოქმედებდა ჩემზედ და სიამის ჟრუანტელი დაა ტანში.

ასრულდა... მე მას დავემორჩილე! დავემხე ერხთა წინაშე და თაყვანი ვეცი. აღარ სჩან-მი კადნიერება და შეუპოვრობა მის ძალთა მე, რომელიც ითხოვდა მხოლოდ და მხოლოდ ლება-მონებას...

ყმად გარდავიქეც .. გრძნეულმა ძალამ დაურ-ლი ხუნდებ-თ შებორკა მთელი ჩემი არსება აც წინად შეუძლებლად მიმაჩნდა, მისი ტკბი-გამაბრუებელი ჩურჩულის გაგონებაზედ ჩემს აპყრობილს, შეუცილებელს საკუთრებად მე-ოდა... ერთი ხელის დაკვრა და ყველაფერი მეგონა

...სასოებით, თავდავიწყებით გავაწვდინე მის-თრთოლებული ხელები .. მსურდა, რომ ჩემი ლიყო, არავის შესძლებოდა მისი წართმევა, ოფილიყავ მისი პატრონი. .

მაგრამ.. ვაგლახ მე! ჩემი ბინძური ხელი სა-ავივით მოხვდა ჰაერს.. იგი შეთრთოლდა, ლდა ზღვასავით.

თვალთ დამიბნელდა, ველარას ვხედავდი გარ-გრძნობა დამეხშო უეცრად და ჩემი თავი ც უფსკრულის ძირში მეგონა.

გონს მოველ.. ისევ მისკენ გავაწვდინე უნე-ლ ხელები, თვალნი მივაპყარ იმ ადგილს, სა-წინად იყო .. ახლა კი მხოლოდ ლა ბუნდო-ნისლიანი სივრცე მოსჩანდა.

სინანულმა შემიპყრო. ისევ დავემხე პირქვე ღხანს, ვქვითინებდი მწარედ, მაგრამ უხმოდ ცრემლოდ...

,,ადამიანო!“ ჩამძახა ამ დროს უჩინარმა ხმამ ყავ სათნო!“

შევკრთი... გამოვერკვიე, თავი მაღლა ავიღე ლ და ისევ სივრცეს გავყურე.

. .იგი შორს, ცის კიდურზედ მოსჩანდა ოდ-ნავ და თავის სხივებს მედიდური მოწყალებით და მიგზავნიდა. ისევ თავისკენ მიხმობდა, მიზიდავდა, გულს იმედს მისახავდა...

,,მივაღწევ, მაინც ჩემია!“—წამოვიძახე შეუ-პოვრად და მ სკენ გავწიე,

ის კი თითქმის მთლად მოჰქრა... ამოეფარა მთის ყურს და სუსტს, მკრთალს სინათლეს ლა ჰფენდა არე-მარეს, სივრცეში იბნევოდა.

.. მე კვლავ წინ მივდიოდი! აგერ, ცის დასა-ვალს მივადექ... აღარაფერი სჩანს. ჩემს იქით უფს-კრული მოსჩანდა, შავად მღელვარი... მე უფსკ-რულის პირს ვიდექ..

,,რისთვის, რად დამიშორე?“—შემომესმა ქვე-სკნელიდან, სამარიდან ამოძახილის მსგავსი, მკვნე-სარი ხმა.

გულმა აჩქარებით დამიწყო ცემა... მკერდი მოუსვენრად ადი-დადიოდა, სულს ძლივს ვითქვამ-დი. ჰაერი აღარ მყოფნიდა... მინდოდა დამეყვირა, მომეხმო ვინმე საშველად...

...მეტი ველარ ავიტანე სულიერი ბრძოლა... გადავიხარე უფსკრულისკენ, თვალი ჩავაშტერე უაზროდ და გაყინული ხმით ჩავძახე:

,,სიმართლევ!“

,,სიმართლევ!“—გამომეხმაურა არც თუ კით-ხვად, არც თუ პასუხად უფსკრულიდან მწუხარი, გულშემზარავი, მისუსტებული, საყვედურით სავსე ხმა, ერთი კიდევ გაიელვა სინათლემ უფსკრულში, თითქოს უკანასკნელს სალამს იძლეოდა და სად-ღაც სიღრმეში მიყუჩდა, ჩაკვდა ხმა...

...გარიჟრაჟდა. ზეცამ ცხარე ცრემლად დი-ლის ნამი ასხურა ცოდვილს ქვეყანას... მე ისევ უფსკრულთან ვიდექი...

დემნა მროველი.

ქ ა ლ ი

„რატომ შექმნა ღმერთმა ევა
ადამისა გვერდიდანა?!

(ებრაელური გადმოცემა)

—

მიდარშია - წიგნი ძველი,
ურიების სათაყვანო.
მინდა აზრი სანატრელი
იმ წიგნიდან მოვიყვანო,
იგი ცოდნის არის წყარო,
იგი—ლხენის მიზეზია.
ბრძენთა შრომა უანგარო,
ოცნება და პოეზია.

—

ღმერთმა შეჰქმნა პირველ ქალი
ადამისა გვერდიდანა,
არ თავიდან—რომ დაბალი
ყოფილიყო ყველასთანა,
არც თვალიდან—რომ მას კრთომა
არა ჰქონდეს ეშმაკური;
არც ყურიდან—ჭორებს რომა
არ დაუგდოს ხარბად ყური;
არც პირიდან—რომ კაპასი
არ ჰქონოდა პირში ენა,
არც გულიდგან—რომ ათასი
მუნ სიხარბე განედენა;
არც ხელიდან—რომ ადამზე
თვისი ღონე არ ეჩინა,
არც ფეხიდან—ყოველ წამზე
იქით-აქეთ არ ერბინა...
არა,—შეჰქმნა მიმალულის
და მორჩილის გვერდიდანა,
რომ შიგ მადლი სიქალწულის
და მორცხობის ჩაეტანა.

—

დღეს თუ ცოლი ან ასული
ყველგანა და ყველასთანა
ურჩია და თავგასული,
კაპასი და ჭორიკანა,
ხარბი, გიჟი, მოფარფაში
და... არც მორცხვი, არც ქალწული,—
ეს იმიტომ, რომ მიდრაში
არავის აქვს წაკითხული.

—

წაიკითხეთ, ჰე ქალებო,
წაიკითხეთ ეს მიდარში,
მცნება თქვენთვის საგანგებო
გამოთქმული არის მასში,
იგი ცოდნის არის წყარო,
იგი—ლხენის მიზეზია,
ბრძენთა შრომა უანგარო,
ოცნება და პოეზია.

გიორგი გვაზავა.

ფულის შხამი

(ანეკდოტი)

—

ერთს სოფელში ცხოვრობდა გლეხი თავისი ჯალაბით. მათ სიმდიდრეს შეადგენდა მათივე ნაჭირნახულევი. ფული მათ არ ჰქონდათ და არც იცოდნენ რა იყო იგი. ყოველ საღამოს გლეხის მხიარული ოჯახი მოუჯდება გარშემო სუფრას და შეექცეოდნენ ტკბილათ თავიანთის ოფლით მოწეულ პურსა და შეჭამანდს, ზედ წითელ ღვინოსაც დააყოლებდნენ ხოლმე. მხიარული ოჯახი სადილსა და ვახშამს ისე არ სვამდა, რომ სიმღერითა [illegible] ცეკვით არ გაეთავებინათ ამ [illegible] ... [illegible] რად აივლიდა და ჩამოივლიდა. ... [illegible] დარი ვაჭარი. ვაჭარს ძლიერ უკვირდა, რათ [illegible] ყოველთვის ეს ოჯახი ასე მხიარული. ... [illegible] იფიქრა ეს რათ არი ასე, ის ღარიბია და [illegible] დღე მხიარულებაში ატარებს დროს, მე კი [illegible] რი ვარ და ჩემი ოჯახი მხიარული არ [illegible] მოდი ამათაც მოუსპობ ამ ბედნიერებასო. [illegible] დღეს იმ გლეხის ოჯახიდან [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

უცნაური ბრალდება

(პასუხად ბ-ნს დუტუ მეგრელს)

«ნიშადურის“ უკანასკნელ ნომერში ბ-ნა დუტუ მეგ-
ელმა ჩემში აღმოაჩინა ორი საციმბირო ნიჭი: ნიჭი ესრედ
ოდებულისა принудительное отчужденіе-სი და ნიჭი
პროპრიატორისა. აეშენოს ღმერთმა, გულუხვი კალმოსანი
ძანებულა. პირველი ნიჭი თურმე გამოიჩინა მის, დუტუ
ეგრელის შესახებ, მეორე ნიჭი—აკაკის შესახ ბ. მივსცეთ
ინტერესობა ბ-ნს დუტუს აკაკის წინაშე და მისგ-ნ დავიწ-
ოთ პატარა ისტორია.

„დედა ენის“ უკანასკნელს, ოც-და-მეორე გამოცემაში,
ოგრაფიულს ნაწილში, 224 გვერდზე ჩვენ მოვაქციეთ საში
ტარა ლექსი მამულის სიყვარულის შესახებ, რომელთაგან
ი სახალხოა, ხოლო მესამე ეკუთვნის კალამს ბ ნს დუტუ
ეგრელისას. არც ერთ ამ ლექსთაგანს თავისი საკუთარი სა-
ური არა აქვს, ყველას წინ მიუძღვის საერთო სათაური:
ერ-იმერთა ქართველთა სიმღერები. სიმღერები იმის გამო
ვარქვით, რომ პირველად, ლექსები გამოთქმულნი არიან
ღერის კილოზე, მეორედ, ჩვენ გვწადდა მასწავლებლისა-
ის ჩაგვეგონებინა, რომ ეს ლექსები, სავსე მხურვალე ერ-
ული გრძნობით, არა მარტო წაეკითხებინა მოს-
ალეთათვის, არამედ ზეპირად დაესწავლებინა და ემღერე-
ათ, რათა უკეთესად გამსჭვალულიყვნენ შიგ დამ-რხული
ოვნული გრძნობით... როცა „დედა ენის“ სარჩევში ვასა-
ლებდით ლექსებისა და მოთხრობების ავტორებს, ჩვენ წინ
დაგვეღობა აღნიშნულ ადგილს ავტორების დასახელების
ესახებ უძლეველი დაბრკოლება. საერთო სახელს ვერ მიუ-
ეთ ავტორები, ცალკე სახელები კი წიგნის ტექსტში არ
ოპოვებოდა. ვსცადეთ ასეთი დასახელება: ამერ-იმერთ-
ართველთა ლექსები და დუტუ მეგრელისა; მაგრამ გამოდიო
, რომ დუტუ არც იმერია და არც ამერი. მაშინ გადავს-
ეიტეთ, ავტორები ამ ლექსებისა არ დაგვესახელებინა ამ
ამოცემაში, ხოლო შემდეგ ოცდა მესამე გამოცემაში საერ-
ო სახელის გარდა თვითეულის ლექსისთვის საკუთარი სახე-
ლ დაგვერქვა და სარჩევში მათი ავტორები დაგვესახელები-
ნ. სწორედ ამ სახით იბეჭდება ამ ჟამად ახალს, ოცდა მე-
ამე, გამოცემაში ეს ლექსები.

ბ-ნი დუტუს დაუსახელობლობა ჩვენ სანანურად და
ეწუხარად დაგვრჩა ერთის გარემოების გამო, მოგეხსენე-
ოთ, რომ ქართველის ერის მტრები ყოველს ღონისძიებას
ამრობენ, რომ საეგრელო საქართველოს მოსწყვიტონ, სა-
ი ათასი მეგრელით შეამცირონ ქართველთა რიცხვი, ერ-
ი დიდი ლუკმა ორ პატარა ლუკმად აქციონ, ადვილად
�уललაპონ და ადვილადვე მოიხელონ. ერთი ძლიერი ღო-
ისძიება ამ ბოროტი განზრახვის წინააღმდეგ არის—მხურვა-
ე მონაწილეობა მეგრელებისა ქართულს მწიგნობრობასა
ლიტერატურაში და ამ მონაწილების გამომზევება, ხაზის
ამა, ასე ვთქვათ. სწორედ ამ მოსაზრებით ჩვენ მოვითხო-
ოთ ლუარსაბ ღოღუას მემკვიდრეებისაგან, რომ მათ მისი
ელა ნაწერი უსათუოდ გამოსცენ ცალკე წიგნად და
ავრცელონ ჩვენ საზოგადოებაში. ამავე მოსაზრებით
ვურთეთ „დედა ენაში“, ნაცვლად იოსებ ბაქრაძის
ექსისა. ბატონი დუტუ მეგრელის ლექსი იმავე თე-
ზე, მით უმეტეს, რომ ეს უფრო შინაარსიანია ბაქრაძისაზე.
რთალია, ბ-ნი დუტუს ლექსი ვერ შეედრება იმ სახალხო
ორს შედევრს, რომელიც მას წინ მიუძღვის „დედა ენაში“,
მაგრამ სამაგიეროდ უფრო ნათლად საზღვრავს ამ ენის, —ეს
შობლოს შემეცნებას და მარჯვე განმარტებას ეროვნულ
ხსენებულის სახალხო ლექსებისას.

რაც შეეხება ორი სტრიქონის გამოტოვებას ბ-ნი დუ-
ტუს ლექსიდგან, ეს იძულებული ვიყავ მომეხდინა შემდეგი
მოსაზრებით. საღი მამულიშვილობა ძვირფასი საუნჯეა; მაგ-
რამ გადაჭარბება ასუსტებს და ამდარებს. ჩვენი კალმოსანი
გამოტოვებულს სტრიქონებში საქართველოს ქვეყნის თვალად
სთვლის და ეს კი გადაჭარბებული ქებაა. იმავე სტრიქონში
საქართველოს იხსენიებს, როგორც ღვთის-მშობლის წილ-
ხდომილს ქვეყანასა, ჩვენ-კი „დედა ენაში“ უკანასკნელს სა-
სულიერო განყოფილებამდინ ქრისტიანული ელემენტი გა-
მოტოვებული გვაქვს, რათა ქართველს სპარსელებს კერძოთ,
ქართველ მაჰმიდიანებს საზოგადოდ და ქართველს ურიებს
მივსცეთ შეძლება დაუბრკოლებლივ იხმარონ საერთო სახელ
მძღვანელო ქართულის ენისა. როგორც მკითხველს მეეხსენე-
ბა, ამ კატეგორიის ქართველთათვის „დედა ენა“ გამოცემუ-
ლია „წერა-კითხვის“ საზ. მიერ სასულ. განყ. გამოკლებით.
მართალია, საიქიო, ღმერთი, სული, უკვდავება, სამოთხე და
ჯოჯოხეთი იშვიათად არ იხმარება „დედა ენაში“, მეტადრე
სახალხო ლექსებში და მოთხრობებში, სასულ. განყოფილე-
ბამდინაც; მაგრამ ეს ხომ ის დეიზმია, რომელზედაც ყველა
სარწმუნოება არის აშენებული...

გამოტოვებულს ორ სტრიქონს არც საიმისო კავშირი
აქვს წინა და შემდეგ სტრიქონებთან. აზრი, რომელიც არის
გამოხატული მეორე გამოტოვებულს სტრიქონში საქართვე-
ლოს ბედის ცვალებადის შესახებ, უფრო უკეთესად არის გა-
მოთქმული შემდეგ სტრიქონში და ამიტომ ლექსი არაფერსა
ჰკარგავს ამ საჭირო გამოტოვებით. რაც შეეხება ექსპრო-
პრიაციას აკაკის შესახებ, ამაში იქმნება არა ერთი ქართვე-
ლი მოლექსე იყოს ცოდვილი აკაკის წინაშე; მაგრამ ჩვენ
კი ამ ცოდოში წილი არ გვიდევს. აკაკის რუსულიდან როდი
გადაუთარგმნია თქვენგან დასახელებული ლექსები. ეს ლექ-
სები, ჩვენ მიერ თარგმნილი, ჩვენ ამოვწერეთ „დედა ენი-
დგან“; გავუგზავნეთ აკაკის და ვთხოვეთ თავისებურად შეე-
ცვალა მათი რედაქცია. მანაც თავისი ჩვეულებრივი დაუზა-
ოელობით შეასრულა ჩვენი თხოვნა და გამოგვიგზავნა თავისი
ხელთნაწერი, თეთრად გადაწერილი, რომელიც დღემდის და-
ცული გვაქვს. მაგრამ ეს ხელთნაწერი ჩვენ ხელუხლებლივ
ვერ დავბეჭდეთ. მასში, თანახმად პედაგოგიურის მოთხოვნი-
ლებისა და ბავშვის ფსიხიკისა, ჩვენ მოვახდინეთ შიგა და
შიგ ზოგიერთა ცვლილებანი, მეტადრე ლექსში: „მახეში გაბ
მული ჩიტი“. ძალიან ვეცადენით, რომ ყოველი ჩვენ მიერ
მოხდენილი ცვლილება ყოფილიყო აკაკისებური, რომ ჩვენს
წადილს სავსებით მივაღწიეთ. პედაგოგიური მოთხოვნილებაც
დავაკმაყოფილეთ და აკაკის ლექსს ღირსებაც დავიცვით.
აშკარათ სჩანს იქიდან, რომ ეს ლექსები შეტანილია აკაკის
თხზულებათა ცალკე გამოცემაში არა ისე, როგორც მის
ხელთნაწერებია, არამედ, რა სახითაც „დედა ენაშია“ და-
ბეჭდილი.

დანარჩენი ლექსი აკაკისა, საგანგებოდ დაწერილი „დე-
და ენისთვის“ ხელუხლებლად არის დაბეჭდილი მასში და
ავტორადაც იგია დასახელებული. საზოგადოდ, „დედა ენაში“
პოეტური ნაწილი ეკუთვნის ჯერ ჩვენს ხალხსა და მერმე
აკაკის, გარდა თვითო-ოროლა ლექსისა, რომელიც ჩავუმატე
უკანასკნელს გამოცემაში.

მოქცეულია კიდევ „დედა ენაში“ ჩემ მიერ დაწერილი ათიოდე, საბავშვო ლექსი. ეს ჩვენი ნაბიჯი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ზოგიერთა საჭირო თემებზე სრულიად ვერ ვპოვეთ ლექსები ვერც სახალხო პოეზიაში და ვერც ჩვენის პოეტების ნაწარმოებში. ამ საბავშვო ლექსების დაწერა ჩვენ ძლიერ გაგვიადვილა, ასე ვთქვათ, სახალხო ჰიპონაზმა, საქმე ისაა, რომ როცა „დედა ენას“ ვადგენდით, ჩვენ გადავსახლდით სოფლად, ვაგროვებდით ქალებისა და კაცებისგან ლექსებს, ზღაპრებს, თქმულებებს, ანდაზებს გამოცემებს და ვიმყოფე ბოდით მთლად და სავსებით სახალხო პოეზიას ჰიპნოტიურს გავლენის ქვეშა. რა ძლიერი იყო ეს ჰიპნოზი, ნიმუშად მოგვყავს „დედა ენიდამ“ ქვემოდ, ბ-ნი დუტუს წახედვით, ერთი ჩვენი ლექსი, რომლის დაწერა ჩვენთვის შეუძლებელი იყო ქალაქად.

პატარა მდინარე.

ველზე ჩამორბის წანწკარით
პატარა წყალი ანკარა;
ქვებზე გადადუდს ჩანჩქარით,
ქვიშას მიტბორავს წუნარ-წუნარა.
მიხვევ-მოხვევით გზას იგდევს,
ბალახებს შუა ჩაუდის,
ხან იმალება, აღარ სჩანს,
ხან კი ლაპლაპი გაუდის.
ფერად-ფერადნი ყვავილნი
მისს ნაპირებზე ხარობენ;
ლურჯი ცა, შორნი ღრუბელნი
თავის სარკედა ხმარობენ.
მირბის, ჩახჩახებს ანკარა,
უხვად რწყავს არე-მარესა;
დედის რძესავით ერგება
მიწას ხმელს და მწუურვალესა.
გვალვისაგანა ჩათუთქულს
და გაყვითლებულ ყანებსა
ისევ უბრუნებს სიცოცხლეს,
ამწვანებს, აღაღანებსა.
ხიმინდის, პურის მადამო,
ვენახის მადხენელია,
სოფლის დიდი და პატარა
ყველა მის მადლიერია.
არ კმარობს ამდენს სიკეთეს,
აგერა დარს ეტანება,
წისქვილს აბრუნებს, ბორბლებსა
თავს ახლის, არ ენანება.
ქაფისგან აქაფებული
მიშხუის ქვემო მხარესა,
და აქ ამ სოფელს, იქ იმას
უყვავებს არე მარესა.

დასასრულ, უნდა მოვახსენო ბ-ნს დუტუს, რომ „დედა ენის“ წლევანდელს გამოცემაში ჩვენი მთავარ მგოსანი აკაკი, თუნდა წინააღმდეგ თავისი სურვილისა, დასახელებული იქმნება ავტორად იმ სამიოდე ლექსისაც, რომელთ[...] დაქტორად იყო წინად ნახსენევი [...] ექსპროპრიაციის მცირედი კვალიც კი გაქრება.

იაკობ გოგებაშვილი.

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

(ზაბ. სუნდუკიანცის „აბანოს ბოლჩიდან“)

—

მე შეგიყვარე, ეშხით შეგკარ, ბულბული ვარ შენთვისა!
ხელი უშვი ეკლის ყვავილს, სუმბული ვარ შენთვისა!..

—

გთხოვ შემიშრო შენსა გამოთ, ჩემ თვალთაგან ცრემლთ[...]
ჩვენ ერთმანეთს ვეჭიკჭიკოთ, ვისაც უნდა შეხვდეს წყ[...]
თუ გაგწირო, დაგივიწყო, დე მრისხამდეს მაღლით ზე[...]
მსურს ტუჩები დაგიკოცნო, გამაგონე ტკბილი ენა..
საყნოსელად მუდამ ჟამს, თაიგული ვარ შენთვისა!..

—

გთხოვ აღმითქვა ფიცი—ნაზო—არ გამტეხი, და მტ[...]
სამახსოვროდ ამ ჩემს თავსა, შენ მოგართმევ ვითარ [...]
ნუ თუ ნაზო არა კმარა ოხვრა, ტანჯვა ესოდენი;
ჩვენ ვერავინ გაგვაშორებს, შენ ჩემი ხარ და მე შენი,
როგორთაც გსურს გემსახურო, ხომ ყული ვარ შენთ[...]

—

ისევ შენ ბაღს მოუარე; სხვის ბაღში ნუ დაჰკრეფ ყვ[...]
ლამაზოჯან, კმარა ტანჯვა, ნუ ივიწყებ ჩვენ პურ-მარ[...]
ჩემნაირსა ვერსად პოვებ, შეგისრულებ გულის წადილ[...]
ერთხელ მაინც ესე სიტყვა გამაგონე—ნუ გრძნობ [...]
ხვილს:—
„ნურას დარდობ ჩემო გიჟო, ერთგული ვარ შენთვისა[...]

ი. გრი—ი.

ქართული თეატრი ქუთაისში.

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ ქ[...]ლი სცენა რადაც უბედურ ვარსკვლავზე არის დაბ[...]ლი. არ იქნა და არა, მისი კარგ გზაზე დაყენება, წესიერათ მოწყობა და გაუმჯობესობა. თბილისზე ვიტყვი, რადგან იქ ძალიან ბევრი გასართობების და[...] დარებით ქართულ წარმოდგენებს ბლომათ ესწრება[...] გადოება. რა უყოთ, რომ გასავალი ბევრი აქვს და[...] საკუთარი ბინა, თავის თეატრი არა აქვს და დ[...] ისეთი მოხერხებული; 300 და 400 მან. ქართულ[...] ატრისათვის შემოსავალს შეადგენს, მაგრამ როდე[...] მოსავალი 300 მან. და გასავალი 200 მან. და[...] რადა უნდა დარჩეს დასს?

ქუთაისი? ქუთაისში 200 მან. ერთი შემო[...] დიდ შემოსავალს შეადგენს. აქ ხომ იმდენი გას[...] არ არის, როგორც თბილისში, ერთად ერთი გას[...] თეატრია, მაგრამ ჴო! მართლა, კლუბია კარტი და[...] ტო, სადაც ჩვენი ქუთაისელი ინტელიგენცია გათ[...] დის უსხედს მწვანე მაგიდებს და მანდილოსნები ქ[...] ტოს. ვაჭრები? ნოქრები? რომლებიც დილიდან სა[...] დის ფეხზე დგანან; სადამოს დასვენების მაგივრად[...]

ბისკენ მიეშურება. კვირა-უქმეს კი მოელს თავისუ-
ს საღამოს კიდევ კლუბში ატარებს. ქართულ წარ-
ენას კი, რომელიც კვირაში ერთხელ იმართება,
ელს უხვევს და გონების განვითარების მაგიერათ მელ-
ელაპარაკეს, ანა და 16, 17-ს გაიძახის.

ეს რას გავდა წრეკანდელი სეზონი? იქნება ესი
ეარგოდა? იქნება ბიესები არ ვარგოდა? არა, ქუთაი-
ს საზოგადოება ამის საუკეთესოს ვერ იტუკეს, ესიც
ეი ოო და ბიესებიც. ამდენი ახალი ბიესა, რაც
ელს სეზონში დაიდგა, არც ერთ სეზონში არ დადგ-
ა. იქნება მიზეზად ისა თქვეს, რომ ერთ და იგივე
ბიესებები მოგვწონდაო? მერე, როდის იყო თეატრში
მსახიობნი ხახა?

ერთმა მისაუკეთესოა: რა არის თქვენ დალოცვილებო
ალისიდან არავის იწვევთო. მეც უთხარი: აი, ნ. ჩხეი-
ძეს ეთავვებს ბასტროლებს, მერე სხვებს მოვიწვევთ—
ოქ. მართლაც მოვიწვიეთ ტ. აბაშიძე, მერე, სად იყო
ვინც გვისაუკეთესოა და ან სხვებიც? 130 მან. იყო
ამისაკადი ამხანაგობამ ზარალი ნახა. მოვიწვიეთ ვასო
ბაძე, შემოსავალი 160 მან. იყო. შემდეგ ჩვენც დავ-
ბდით, მოვიწვიეთ განმეორებით ნ. ჩხეიძე—სულ ზა-
ალი და ზარალი.

ზოგიერთები თავს იმითი იმართლებდა, რომ ამ-
ამბით გვეშინიან კამოსვლაო, იმავე დროს კლუბის
ერბაზი კი გაჯელილი იყო საზოგადოებით. თუ კი
ეებში წასასვლელათ არ ეშინოდათ, თეატრში რადა ეშ-
ინ ეშინებოდათ! მაგრამ, არა! ეგ არის ქართველური
ეველეროობა. ქართველს ქართველური ადარაფერი სწამს
ადგია გადაგვარების გზაზე; ვინ არის ან ვინ არიან
ის მიზეზი? ეს ალალხმა უწყის! როდესაც ამხანაგობამ
ერ შესძლო და წარმოდგენა შეაჩერა, მეორე დღეს
ელ გვეკითხებოდა და ვითომ სწუხდა კიდეც — „კაცო,
ესთვის დახურეთ სეზონი? როგორ შეიძლება! მაგას ნუ
ამთო და სხვა. უგდებ ეურს და გული გიკვდება, რომ
ეობ თვალთმაქცობას, ძერე ისეთები გისაუკეთესოებენ,
ამდენიც მთელ სეზონში ორჯერ თეატრში არ ეოფი-
ან და ისიც „ინტელიგენტები“.

წარსული სეზონი ხომ უბედური იყო და არსაიდან
ეთარი საშველი არ დაგვიდგა. მე ბირალთ, როგორც
ოი ამხანაგობის წევრთაგანი, ბოდიშს ვიხდი, და დიდ
ოდობას ვსწირავ იმ მსახიობთ ქალებსაც და ვაჟებსაც,
ამდენიც თვიურათ მსახურებდნენ დასში, შევიდნენ
ენს მდგომარეობაში და უკანასკნელი თვის ჯამაგირებიც
არ მიუღიათ.

წარსულ სეზონის დაშინებულნი, მომავალ სეზონზედ
ალებთ ვფიქრობდით და ერთად ერთი იმედი ეხლა ახ-
ად დაარსებულ დრამ. საზ. ახალ კამეობაზეა დამეა-
ებული.

რას ფიქრობს კამეობა მომავლისთვის, ან რა
აქვს გადაწყვეტილი. ეს ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ ისე
ეური ბოგვარით, რომ თვითონ კამეობა სეზონის ად-
ბას არ ფიქრობს. იგი მხოლოდ დაეხმარება ამას, ვინც
აიღებს სეზონს, ცალკე ანტრეპრიზა იქნება თუ ამხანაგ-
ბა სულ ერთია. კამეობა მისცემს ბიესებს, ტანსაცმელს
(თუ შესაკერი იქნება) და ფულად რამდენიმე ას მანეთს
სუფსიდიას; ამაზედ კამეობამ მესხიშვილსაც მისწერა და
სთხოვა ალალ ანტრეპრიზა, მაგრამ, რაკრორც კვიგე-
მესხიშვილს უარი შემოუთვლია, რადგან მას უკვე ადესის
თეატრის ბირობაზე მოუწერია ხელი.

ასეა თუ ისე, კამეობამ უნდა ეცადოს, რომ ქუ-
თაისში ქართული სცენა არ მოისპოს და ხელი შეუწყოს
მას, თვითონ აიღებს ანტრეპრიზას თუ სხვას გადასცემს
ეგ სულ ერთია, მხოლოდ ჩემის აზრით, თავდა-ბირველად
კამეობა უნდა შეეცადოს რაკრორმე თეატრი ქალაქის
მართველობიდამ იჯარით აიღოს. ქალაქის კამეობამ საი-
ჯარო ფული თეატრის კამეობისაგან იმდენი უნდა აიღოს,
რამდენიც წლიურათ შეხვდება იმ ვალისაგან, რომელიც
თეატრს აწევს. თუ კამეობა ამას ვერ მოახერხებს ის
მაინც უნდა მოახერხოს, რომ თეატრი ქართულ წარმოდ-
გენებს მუქთათ დაეთმოს სეზონის განმავლობაში არა
უმეტეს ოთხი წარმოდგენისა თვეში; თეატრიც უსათუოთ
უნდა შეკეთდეს შელამაზდეს, გათბეს, თორემ ისე ეოვ
ლად შეუძლებელია წარმოდგენების მართვა.

თეატრის კომისია რომელიც ეხლა არის და რო-
მელმაც სრულიად დაკვიმტკიცდა, რომ თეატრისათვის
ისინი არავეერს არ აკეთებენ და არც არავეერს რადისმ,
გააკეთებს, უნდა გამოიცვალოს. თეატრის გაქირავებს
კომისიები რათ უნდა? ჩვენი კომისია კი მეტს არავერს
არ აკეთებს, ერთი აქირავებს, მეორე ჯითომ თეატრის
ტექნიკურ საჭიროებას ბატრონობს, მესამე ანგარიშს ეე
ბულობს, მეოთხეს თვალითაც ვერ დაინახავთ. თეატრ-
კი თან და თან ფუჭდება და ეხლა ფქვილის საწყობ
„სარაის“ მოგაგონებსთ. ორი მანეთის საქმე რომ იყოს
გასაკეთებელი და გარეცხადო — უკვალნი მიიმალებიან
მუდამ იმას გაიძახიან ფულები არ არისო.

კამეობა უეჭველად უნდა ეცადოს რომ არავითარ
კომისიებთან არ ქონდეს საქმე, არამედ ერთ კაცთან, რო-
მელიც უნდა იქნეს ქალაქის მართველობისაგან დანიშნუ-
ლი, ჯამაგირი ისეთ კაცისათვის არ არის საჭირო, ეხლ
თუ კი ხუთი კაცი კომისიის წევრები უჯამაგიროთ არის
ერთ-ერთ ხმოანს კი არ შეუძლიან უჯამაგიროთ იყოს?

აი როდესაც დრ. საზ. კამეობა ისეთ ბირობებში
იქნება, ე. ი. თეატრი ან იჯარით ან ქართული წარმო-
დგენისათვის თვეში ოთხჯერ მუქთათ ექნება (რასაკვირ-
ველია მარტო სეზონის განმავლობაში) მაშინ თვით კა-
კეობასაც შეუძლიან იქონიოს ანტრეპრიზა, დასიც კარგ
იყოლიოს და ქართული სცენაც ქუთაისში წინ წაიწევს.
იქნება ზოგიერთმა სთქვას თეატრის ქირის მიუცემლობა

უგანათლ. თავადი ირაკლი გრუზინსკი
ბატონიშვილი ალექსანდრეს ძე
(გარდაც. 26 წლ. გამო † 1882 წ. 27 აპრ.).

ქართული მწერლობა და მეცნიერება



პროფესორი ალ. ცაგარელი.
(ამჟამად თბილისში ყოფნის გამო)

კავკასიის მართვა-გამგეობა

გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი

ამჟამად რუსეთის გავლენიანი გაზეთები „Новое мя» »Голосъ Москвы“ და სხვ. და სახელმწიფო მემარჯვენენი პურიშკევიჩ-ტიმოშკინითურთ დაჟინებით რიან „კავკასია ირღვევა“ და ხელიდან გვეცლებაო... დება და იერიში მიმართულია უმთავრესად ეხლანდელ მესტნიკის წინააღმდეგ.

ეგრე წინ როგორ წასწევს საქმესო ან მოგახს მარშან ე. ი. 907-908 წლის სეზონი მეტად ცუდ ვიდა, მაგრამ ქალაქმა გარდა ტანისამოსის შენახვის ШАЛОЧНЫЙ) ფულისა, ქირად წაიღო 1200 მან. თუ მეტი. ტანისამოსის შენახვის ფულიც რომ ვიანგარ მაშინ ხომ 1500 მანეთამდე ავა. მომავალ სეზ რომ გამგეობამ არამც თუ 1200 მან. 1000 მან მორჩეს ძალიან წინ წასწევს საქმეს.

თუ გამგეობა მაინცა და მაინც თავის თავ მიიღებს სეზონის მართვას მაშინ, ჩემის აზრით, მსახიობებმა უნდა შეადგინონ ამხანაგობა „მარ გამგეობა დაეხმაროს პიესებით, თეატრით, ტანთ ლით, თვალ-ყური ადევნოს რომ წარმოდგენები უნ ლოთ და კარგათ იყოს დადგმული. თუ ამხანაგობ ნიცობაა იზარალოს, აი მაშინ დაეხმაროს ფულით. ა გათ საქმე კარგათ წავა.

ისე ცალკე ანტრეპრიზა კი არა მრწამს და ს ბიც ირ იქნება, თუ მან ე. ი. ანტრეპრენიორმა ნიმე ასი მანეთი სეზონის გახსნისათანავე თვითვე ბარა გამგეობას. რა თქმა უნდა, გამგეობა თუ თ ივისრებს საქმეს, უეჭველად უნდა მოიწვიოს დახე ბული რეჟისორი, დამსახურებული და გამოცდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სულთამხუთავი — მაქს კანეს ნახატი

ესდეკების დაქირავებული პროპაგანდისტი.

— უკაცრავად, ეხლა ბატონის ნახვა შეუძლებელია...
— რატომ?
— იმიტომ, რომ ეს ერთი კვირაა ცოლი შეირთო.
— მერე რა ვუყოთ, მე კი უფრო წინედ არ ვუწევდი ...ლობას..?!

— ნება მიბოძეთ თქვენის თვალების ცეცხლით ჩემი პაპიროსი გავაჩაღო!
— ჩემს „ცეცხლებს“ მხოლოდ ფული აჩაღებს!..
— ჰო-და მაგას წინ რა უდგას?
— თქვენი ცარიელი ჯიბე!..

...ულ უნდა მოიქცეს ამხანაგობაც, თუ იმათ უნდათ საქმის ...ოება. თუ გაჩგეობამ საქმე ასე მოაწყო, ქართული ...ნ არ დაიდუბება ქუთაისში და არც ისე სალაზღანდ...ოთ გახდეს როგორც წინათ იყო, როდესაც კომისიამ თეატ...ი ტირჯათ გადაქცია. ეხა იქ რა სეირი იქნებოდა ქარ...ული ხელოვნებისათვის ერთმა ტირკის „გერგედესმა“, „...ემბიანიამ“ თუ რადაც ეშმაკი, გირებით და რკინებით სულ ერთიან დაგვიდგეს სცენა და დეკორაციები... რომ მივვარდით კომისიის წევრთან და უსაუბეურეთ „რისთვის მიეცით ნება თეატრში თამაშისათვის“ ასე გვიპასუხა: „ეი თქვე დალოცვილებო, თქვენი გულიხა „უპრავას“ შემოსაგალს დავუკარგავო“.

ეი ზოგიერთ კომისიის წევრებს როგორც ესმით თეატრის საქმე და მნიშვნელობა. ქართველი აქტიორი ხომ მოთმინებისთვის არის გაჩენილი და ვითმენთ კიდეც მაგრამ როდემდის!?

მსახიობი ვ. ბალანჩივაძე,

ბავშვი და ჩურჩხელა
(არაკი)

—

ბავშვი ტიროდა: „დედილო, ჩურჩხელა მომეციო!“

დედა ამშვიდებდა: „სუ, ნუ ტირი! როცა ჭკვიანად იქნები, ჩურჩხელასაც მაშინ მოგცემ.“

როგორც იყო ბავშვმა გული დაიმშვიდა და ცრემლი შეიშრო. უთხრა დედას:

— აი ხომ აღარა ვტირი, მომეც ჩურჩხელა, რადა!

— ახლა რაღად უნდა მოგცე, შვილო, ჩურჩხელა, თუ კი ჭკვიანადა ხარ? გინდა, მჭადი მოგცე? – მიუგო დედამ. მაგრამ სულელმა ბავშმა ხელახლა მორთო ტირილი.

—

დედი, ბავშვი რუსს ხალხსავით ჭკვიანი ნუ გგონია, რომ ჯერ თავისუფლებას დაჰპირდე, და მერე გენერალ-გუბერნატორს შეაჯერო.

რიშ ბაბა.

ერთგვარ ახალგაზდებს.

—

დავლიოთ, ძმებო, ვილხინოთ, დრო არის ნეტარებისა‘
ვინც ქეიფობს და ღვინოს სვამს ის არის გემოვნებისა;
გავმხიარულდეთ, დავლიოთ და დავუმტკიცოთ ყველასა,
რომ ქართველიბი არასდროს არ აკლდებიან ლხენასა.
დავლიოთ, ძმებო, ნუ სდუმხართ ნუ ჩამოუშვით ცხვირები,
მაშ რითი გინდათ გაიგონ, რომ ვართ ჭკვიანი გმირები!
ვაჟკაცობასა არ ვეტყვი ვინც რომ არა სვამს ღვინოსა,
ვინც მისცემია ფიქრებსა და ვინც რომ არა ლხინობსა.
ფიქრები? რა დროს ფიქრია, ან სამშობლოზე წუხილი?
ღვინო ვსვათ, მასში მოვიკლათ ახალგაზდობის დუღილი!
მაშ შორს იდეალ რწმენანი, ამაზე სხვებმა იფიქრონ,
და სამშობლოზე ოცნებით მაღლა ზეცაზე იფრინონ.

ნ. ატოცელი.

გოგრა არ გახდება მირაშის შუშა...

—

ივანიკა. ყოჩაღ, ჩვენო სამეურნეო ბანკო! პოლიტეხნიკუმსაც ხუთასი მანეთი შეგვაწირვინა და ცენტრალ ბანკშიაც ხუთი-ათას მანეთიან წევრად ჩაგვწერა.

ნინიკა. ახლა შენ რა გგონია, თუ კუმ ერთი ფეხის მაგიერ ორი გამოჰყო, ნახირი გახდება?

იდეალური კომისია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების სარკეს“ და „ეშმაკის მათ
როგორც გავიგეთ, შეუდგენიათ კომისია: დ
ულთა დახმარების მოუწესრიგებლად მოწვ
ბ. ფილიპე მახარაძე, ქართული ისტორიის დ
ხინჯებლათ ბ. ანი, ლიტერატურულ დომ
მზადება თავს უდვია ბ შვარცს. ბ.ბ. ყარიძ
გომართელის შორის კრებულს ვერ გადაუწ
ვის მისცეს უპირატესობა: „უმცირესობის მ
ნი‘‘ ამბობენ ახლო წარსულში ,,აფხანიკი‘‘ ყ
საუკეთესოდ ასრულებდა თავის მოვალეობი
ჭორე-ცილისმწამებლისაო, ხოლო ,,უმრავლ
ბის მომხრენი‘‘ უპასუხებენ ,,ჩვენ გვძულს დ
ზიზღება წარსული‘‘ და აწმყოში კი ამხანაგი
მართელი დიდს სამსახურს გვიწევსო.

ყველა დასახელებულ პირთ განზრახულ
თო—უმატებენ საქმესთან ახლო მდგომი პირ
კომისიის თავმჯდომარეთ მოიწვიონ ბ. Spe
რადგან ქართულად ლანძღვა-გინება მათი ს
მაგრამ რუსულში კოჭლობენ და ბ-ნი Sp
,,სტილს‘‘ გაუსწორებსო. თუ თავმჯდომარე
მიანდვეს, ისე არ იკადრებსო.

— მამის ანდერძს რაღა უყვეს?

— რა მამის ანდერძს?

— ,,თუ კაცები გინდათ იყვნეთ, რუსულ
გათ შეისწავლეთო‘‘.

— შეეშინდათ რუსული გრამატიკის ს
ლისა.

მათივე შეხედულობით, მაშ, კაცადაც
ივარგებენ—აი, ჩამოვა ბ. კარლო ჩხეიძე – დ
მაგათი ბრალი.

— ხუმრობა იქით იყოს და რაღაც მზად
— ვიცი, ვიცი მზადდება გვირგვინი უ
ბისა.

ნ. ლორთ–

„ანი“-ი და „სპერანძა“
(ტატოვიჩის მიბაძვა)

—

ანი, სპერანძა შეიტკბნენ;
სხვა და სხვა ფერის ყოჩები,
მიესალამნენ ერთმანეთს,
გადაუკოცნეს კოჩრები!
ანმა გასძახა სპერანძას:
,,ძმა-ბიჭო, გენაცვალეო,
სულ ხაჩატურებს ნუ აქებ,
ჩვენთვისაც მოიცალეო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისკარტს გიქებენ საქექათ,
ფრთები გქონია მალია,
მიჰფრინ-მოჰფრინავ ყოველ მხრივ,
სითაკ ქანქარის ძალია!
ხმასაც გიქებენ კაკანას,
მართლაც რო საქებურია,
მომწონხარ როგორც უებრო
ჰაიასტანის მურია!
მაგრამ გაკლია ერთი რამ,
ერთი რამ თილისმოსანი.
როგორ ვერ მიჰხვდი ამასა
„ტიფლის ლისტოკის“ მგოსანი!
მებრძოლს სულ მუდამ თან უნდა
ჰქონდეს ეს-დეკის ჩაფხუტი,
გუდა რამ დიდის ჭორებით,
წვრილმანებზედაც ნახურდი!
მოდი დაგხუროთ თავზედა,
გვირგვინი მეფეთ-მეფისა,
გვინდა რომ ვნახთთ ბრძოლანი
შენი და ხეობელისა.
არ გაგახსენებთ გლეხების
შენ მიერ ცემა-ტყეპასა,
ჩვენ არ შევარცხვენთ საქვეყნოთ
კუდა—აზნაურს ლევანსა!
ჩვენებრ „ეს-დეკათ“ მოგნათლავთ,
ხელთა გვაქვს დემაგოგია,
ჭორებისათვის შეაბი
გელეიშვილის დროგია!

—

ახლა სპერანძამ მომართა
თვისი „სვისტოკი“, ებანი,
და ტატოვიჩის ხმაზედა
ანს ასე უთხრა ქებანი:
„ან! ანგელოზის ხმაზე მღერ,
ბან! ბანს გეტყვიან ბატები,
გან! გალობ გალიაშია
დონ! დოლზე გამოგვადგები!
ენ! ენით ტკბილო, „ესდეკო“.
ვინ! ვიცი ვინცა ბრძანდები,
ზენ! ზნეობასა ნუ მომთხოვ,
თორემ არ გამოგადგები!
ლას! ფერად დიახ ლალი ვარ,
კან! კანით ცვალებადია,
მან! მანევრები კარგი მაქვს,
ჩუმი და არა ცხადია!
ჩან! ჩაფხუტს „ეს-დეკისასაც“
ჯან! ჯანში გენაცვალები,
შან! შავიფერეფ თავზედა,
შინ! შიკრიკათ მყავს ქალები!
ძილ! ძილშიც ძიძგილ-ძიძგილით
ხეობელს გავემკლავები,
ქან! ქებით მოვიხსენიოთ
ქართლელი ავაზაკები!
ან! ანგელოზის სადარო,
ღმერთმა გაშოროს ავია,
ყარს! ჩვენო ყარაჩოხელო,
აჰა, ეს ჩემი თავია!
აწი მაქვს ორი ჩეპჩიკი,
ერთია „ეს-დეკობისა“
და მეორე კი „ლისტოკის“
ხაჩატურ-ხაჩაგოგისა!

ჟამანაკ.

პეტარდები

(კვირიდან კვირამდე).

—

„ნიშადურის“ მკითხველი იქნება ჯავრობდეს კიდევაც, რომ, დაპირებისამებრ, სისტემატიურად, ყოველ-კვირა, არ ვატყობინებთ ჩვენში „ნაფეთქ პეტარდების“ ამბებს და მით არ ვართობთ, არ ვუხალისებთ გულს... საყვედური, მკითხველო, საფუძვლიანია, მაგრამ, თუ მხედველობაში მიიღებთ იმ გარემოებასაც, რომ ლიტერატურის ჩვენ გვარ შავ-მუშაკთაც გვაქვს ჩვენი კერძო დალხინება-დავალებაც, რომ ჩვენი ცხოვრება ხშირად იწამლება იმ გვარი შხამ-ნაღველით, რომ გაიწყდება, არამც თუ ნაკისრი მოვალეობა, სამსახური საზოგადო საქმისადმი, არამედ ვარდები იმ გვარ უიმედო სასოწარკვეთილებაში, რომ იწყევლი გაჩენის დღეს; როცა არა ერთ-ჯზით მოტყუებული შენს წმინდა, უანგარო მისწრაფებაში და მთლად მოდუნებული, მთელი არსებით ეძლევი კაეშანს მქეჯნავს, სულის შემხუთავს, ახლოს კი ვერ ხედავ უანგარო, თავ-დადებულ მეგობარს, რომელსაც რწმენით, მოურიდებლად შეგეძლოს გაუწოდო ხელი, გაუზიარო ბოლმა და მოაწმენდინო „თვალს მომდგარი ცრემლი ობოლი“, როცა ყველა ცდილობს ხოხობივით თავი ჩირგვში ჩარგვას და ვერ ხედავ, რუსები რომ იტყვიან, свободнаго, безрасчетнаго полета души; როცა არა იშვიათად გებადება მქენჯნავი აზრი, რომ აღარა აქვს აზრი შენს არსებობას,—მაშინ, ვფიქრობ, გვეპატიება თუ ჯეროვანის ბეჯითობით ვერ ვასრულებთ ნეკისრ მოვალეობას. ეს, მკითხველისათვის ინტერეს მოკლებული, განმარტება გვაიძულა იმ მოსაზრებამ, რომ ავიცდინოთ სამდურავი, უკეთუ მომავალშიც სისტემატიურად, ყოველ კვირა, ვერ მივაწოდეთ ცნობანი ჩვენებურ „პეტარდებზედ“...

— მ ე დ ი ც ი ნ ი ს თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა. ახალი წამალი „სისულინი“,—უცხო ენაზედ „სპე-

რმატინი“ (მკითხველო, შენ თუ რუსეთის ქვეშევრდომი ხარ, რა თქმა უნდა, განუსაზღვრელ მოთმინების ადამიანიც იქმნები, ამიტომ უსაყვედუროთ ჩაიკითხავ ამ მოხსენებას ბოლომდის, სადაც გაიგებ, რა მისამართით უნდა მოიკითხო ეს წამალი). გაიხარე და დამშვიდებით ამოისუნთქე ათას-ნაირ ავათმყოფობით დავადებულო და დატანჯულო, კაცობრიობავ, რამეთუ გამოგონილ იქმნა და უკვე იყიდება უებადლო წამალი, რომელიც უეჭველ შესანიშნავადა რგებს ყოველ გვარ არსებულ და ეგრეთვე იმ ავადმყოფებსაც, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ეცდებიან ჯიბრზედ გამოიგონონ ჩვენმა ექიმებმა. რომ იცოდე, მკითხველო, როგორ მიხარიან ეს გამოგონება და რა ნიშანს ვუგებ ჩემ გამყვლეფელ ექიმებს!... მაგრამ ემჯობინება არ გამირისხდეთ და, უკანასკნელთა დასახასიათებლად, ნება მომცეთ ერთი ეპიზოდი მოგახსენოთ ჩემ უჟმურ ცხოვრებიდგან. იმ დღეს, ბატონო, მეტად საჯაყად ვგრძნობდი თავს და ვეგდე ჩემთვის რუმბივით გიბერილი. ძლივს ვქშინავდი, სუნთქვა მეკვრებოდა, შველა იყო ჩემთვის საჭირო, მაგრამ სამუდამოთ გადაწყვეტილი მაქვს, რაც გინდა გაჭირვებული ავათმყოფი ვიყო, ვიდრე ჭკვა-მეხსიერება შემრჩება, ჩემის ნებით ექიმს არ მივმართო. მაგრამ რომ შვება არ მომცეს ჩემმა ნათესავ-მეგობრებმა! (ობოლტიალი ვარ: ჯერ ისევ 50 წლისა არც კი ვიყავი, რომ დედ-მამა დამეხოცა) „დაუძახოთ ექიმს და დაუძახოთო“... მე, პროტესტის ნიშნად, რა თქმა უნდა, ჩემი სხეულის მთელი ნაწილი მოძრაობაში მოვიყვანე: თუ რამ ძალა და ღონე მქონდა, ვყვიროდი „არ მინდას“ და ვაქნევდი თავს, ხელებს, ფეხებს... მაგრამ სწორედ ამ დროს აკი არ წამომაყენეს თავზედ ერთი ეგვიპტის მუმიასაებრ უგრძნობი და ოლიმპის ღმერთივით მიუდგომელი ექიმი!...

— რითა ხართ ავათ?—შემეკითხა ექიმი, რომელიც ჯერ ისევ ზღურბლ არც კი გამოსცილებოდა.

— ჩემ კითხვას თქვენ იძლევით?!—კითხითვე მივმართე მეც და ისე შევხედე, რომ შემეგინებინა, ის ერჩივნა.,.

— აბა ენა გ ა მ ო ყ ე თ!

ეს კი მე, სახის დაჭყანით, დიდის სიამოვნებით აღვუსრულე და ჩემი კარგათ მოზრდ ლი ენა, რაც შემეძლო, გამოვყავი. შემდეგ ის ოდნავ შეეხო ჩემ მაჯას და უკვე შეუდგა რეცეპტის წერას.

— ბატონო, გთხოვთ, თუ შეიძლებოდეს, ცოტა რიგიან გაშინჯოთ ავათმყოფი და ისრე გამოუწეროთ წამალი,—ხვეწნით მიმართა ექიმს ჩემმა ბიძაშვილმა.

— გარწმუნებ ეგ სულ ერთია,—მივმართე ჩემი მხრით მუდარით ნათესავს, რომ მართლა ღმერთი არ გასწყრომოდა ექიმ და არ შესდგომოდა ჩვეულებრივ „კომედიას გაშინჯვისას“ და მეც არ გამწყდომოდა ძაფი მოთმინებისა.

საქმე იმაში გახლდათ, რომ დიდი ხნის მონატრული ვიყავი და იმ დღეს სამი მოზრდილი ჯამი, პურით ჩაშმუშნული, ლობიო გიახელით და ეტყობა ქალაქურ ცხოვრებას იმ დონად წაუხდენია ჩემი კუჭი, რომ ველარ მოერია.

— ჰო, აი რეცეპტიც; ავათმყოფობა გვარიან სერიოზულია და მე მგონი ხშირად მომიხდეს სიარული,—დაიწყო რიხიანი ხმით ახსნა ექიმმა და განაგრძო,—ერთიოდე თვის განმავლობაში არ უნდა სჭამოთ: არც ხორცი, არც პური, არც ყველი, არც მწვანეულობა, არც სხვა რამ, გარდა დღეში თითო თეფში „ბულიონისა“...

— კი. ბატონო, კი,—ირონიით გავაწყვეტინე სიტყვა ექიმს და ზურგი ვუჩვენე და როგორც შენ, მკითხველო, არ გინახავს და ღმერთმა არც განახოს, პურიშკვეჩი კ... ევლოგები, ისრე ექიმის გამოწერილი წამლები ... ნებია სახლში და მეორე დღეს კი, ... ნელა,—ქამა სოკოსავით წამოვყავ თავი!

მას შემდეგ კი, რაც ეს ახალი წამალი „ს... სპერმატინი“ გამოიგონეს, სადაც კი შევხვდები ხოლ... მებს,--და იმათ ეხლა სად არ შეხვდები თბილისში... ლილ ხელის ცერს ცხვირზედ მივიდებ ხოლმე და და... „ჰინჩ, ახია-მეთქი თქვენზედ!“—მივაძახებ.

მართლაც და ეს მამა ცხონებულის გამოგონილ... ლი თურმე რა ავათმყოფობა გინდათ რომ არა რ... უშვილობა, თუ მეტშვილიანობა ვარო, ბოასილი ვარო, ... ლი ქარები ვარო, ჭლექი, თუ რა ვიცი რა!... მის... ბატონო, თბილისი: მოსკოვის ქუჩა, ბ. ახობაძეს, ... აქვს დაქირავებული ცალკე ბინაც, სადაც თაკრავს ... ნებულ ავათმყოფობისაგან მიღებულ სამადლობელ წე...

◆ ამას წინად, ყ ა ზ ბ ე გ ი ს ქ ა ლ თ ა ს კ... სასარბებლოდ გამართულ სეირნობის დროს მოეწყოთ... თა შორის, ერთი საფთხური. რომელი ბოვშვიც გა... შაურს და თვალებ ახვეული, ათიოდ ნაბიჯის მანძილ... გზა აუოევლივ, მიუახლოვდებოდა და ჯოხს მოახვე... იმ საფთხურს, აძლევდნენ საჩუქარს. მეც მოვისურვე... მეცა ერთ ჩემთან მყოფ ჩინოვნიკისათვის და ვსთხოვ... სართობის მომწყობ მანდილოსანს,—თვალები აეხვიათ ... ნოვნიკისთვისაც, რომ იქნება იმასაც რამე ჯილდო ... და. ამასთანავე, რადგანაც ჩინოვნიკი, ცოტა არ იყო... შობის ხანას გადასული იყო, დავპირდი დადებული ... ხადი ერთი ოროდ მეზღო. მაგრამ ხსენებული მანდი... ვერაფრით დავიყოლიე: ჯერ ერთი—მანეთი მთხოვა... ნიკისა თვალების აბმაში და შემდეგ კი სულაც იუ... წამომეხმ-რა იქ დამსწრე პოეტი ი. ევდოშვილი და... ცებდა, რომ „ჩინოვნიკს რაღა თვალების აბმა უნდა, ... ხილულიც ვერ მიაგნებს საფთხურსო“, მაგრამ გამგე... ლოსნის ჯიუტობა ვერაფრით გავსტეხეთ და იძუ... ვიყავ გაგულისებული და ჯიბე ცარიელი დავბრუნ... ყავ აღნიშნულ სეირნობიდგან...

◆ ქ ა ლ ე ბ ი ს ე პ ა რ ქ ი უ ლ ს ა ს წ ა ვ ... ლ შ ი თურმე ჩინებულად მოუწყვიათ პრაქტიკულ... თილები „ეკონომიის“ შესასწავლად: წარმოიდგინეთ, ... ვლო სახელმძღვანელოებიდგანაც კი თითო ცალზე ... არ აძლევენ მთელ კლასს პანსიონერებისას; თუ მოს... უქეიფოთ გახდნენ,—ექიმობაზე დახარჯულ ფულს ... ტად სთვლიან და ლოცვა- კურთხევით სწამლობენ; თ... პანსიონერად მოსწავლეს ნათესავებთან წასვლა ... ტანსაცმელს ხდიან რომ არ წაუხდეთ (მაინც ხომ ... და) სხ... რა კარგია. მკითხველო, ასრეთი იშვიათი ... ლური მზრუნველობა!“...

◆ ძმა ბიჭები ხ ა ჩ ა ტ უ რ ო ვ ე ბ ი ს უ... პრიკასჩიკი ლ. ყ ი ფ ი ა ნ ი ეს-დეკათ მონათლულა ... „რჯულსაც“ ალვიარებს „რასპროდაჟის ლისტოკის“, ... ცრავად,— „თბილისის ლისტოკის“ რედაქციიდგან. ... მეგობარს გადავეცი, იმტენი იცინა რომ მოკვდა. სი... —ძლივს დავამშვიდე ...

◆ ბ ო რ ჯ ო მ შ ი კარგათ ცნობილ ვაჭარს ... უკვე კარგა ხანია რაც შემოუღია თავის დიდ მა... პრაქტიკული გაკვეთილები იტალიურ „ტროინოი ტერიისა“, თავისებურ ტანმარტებით. მაგრამ, შეხ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...დურობას, რომ მადლობის მაგიერ ამ ,,ქველ-მომ-...' მრავალი მომდურებია ბორჯომში! ამას წინეთ, სხვა-...ის, ერთმა ბორჯომელმა გულუპრყვილო მეგობარმა ...ივლა, რომ აკოფოვის მაღაზიაში ნისიათ მოვაჭრეთ ...ნში ვინ არ ვაჭრობს ნისიათ და აკოფოვი აქ რა შუა-...მჯერ გვაძრობენ ტყავსაო: ერთსა და იგივე ნავაჭრ-...თ ფასს თვით ,,ხაზეინი'' გვახდევინებს, მეორედ იმის ...ი პრიკასჩიკი და მესამედ შეერთებული ძალათ ხაზეინ-...იკიო. თუ ღმერთი გაგიწყრა და ხელთ არ გიჭირავს ...ის-მიერ ხელ მოწერილი ბარათი, რომ ნავაჭრს საქო-... ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც გადგიხდიათ ვალიო. ...იქრობთ, რომ ესრეთი სამდურავი აკოფოვისადმი უსა-...ა და უბრალო ,,ნედოროზუმენიაა'' ვინაიდგან, რო-...ზემოთაც მოგახსენეთ, ბ. აკოფოვმა, როგორც ,,პრო-...ტმა'', თავის მაღაზიაში შემოიღო ,,ტროინაია ბუღა-...'' და ეს კულტურულად ჩამორჩენილ ბორჯომელებს ...გიათ და მეორე მხრივაც ახირებული პრეტენზია ...მელებისა, რომ ,,რად გვახდევინებს აკოფოვი ერთსა-...იგივე ნისიას ორჯერ და სამჯეროო'',—იმიტომ ბატო-...რომ მაგოდენ მაღაზიას გაფართოვება სჭიროდა, მა-... შეძენა, დაშნაკ-და ზოგ ეს-დეკებს ,,პატივის ცემა'', ...ერ გაწეულ მფარველობისთვის ბორჯომის სუფთა ჰა-...გაღვიძებულ მადის დაკმაყოფილება და სხ. მაშ თქვენ ...თ უმიზეზოთ რამე ხდება?!...

✦ ბ ა ქ ო დ გ ა ნ. გვატყობინებენ, რომ ერთ მელ-... მსახურთაგანის მაცადინეობით, იქაური ქართული ...,,გაუპროჟექტორებიათ''და ამ ,,ხელოვნების ტაძარში'' ... დღე სხვა და სხვა სურათებს აჩვენებენ ,,პარიჟის ჟან-...''... როგორც ხედავთ ბაქოში ყველაფერი იყიდება სა-...ვაჭრობით...

გ. ა—ციხელი.

უურმოკრული საუბრები.

—

—რად „შეჩერდა“ ასე მალე «მერცხლის'' ...კი??

—ხომ გაგიგონია ,,ერთი მერცხალი ზაფხულს ...იიყვანსო“.

* *
*

...დ შესტოპეს ასე ღრმად ,,ეს-დეკების'' პუბ-...ისტებმა ცილისწამების მორევში?

—იმიტომ რომ ,,ნახტომი შეეშალათ'' და ...ქორებს ებღაუჭება უთუოდ ცილისწამების ...ში დაიხრჩობა! .

* *
*

—კითხულობ ,,ცხოვრების სარკეს''?

—ვკითხულობ კიდეც და შიგაც ვიხედები, ...მ ეს-დეკების დემაგოგიის მეტსა ვერაფერს ...ვ.

—ჰო-და, რასაკვირველია, ქართველ სოციალ-...კრატების სარკე მარტო იმათს სახე-საქციელს ...ებს...

—მერე რა აჯავრებთ იმ დალოცვილთ სარ-...რაზე ილანძღებიან?

—იმიტომ რომ რუსული ანდაზა დავიწყებიათ „...его на зеркало пенять, коли рожа крива!“

მონადირე.

მოთქმა.

—

ლოდინა-იმედი არ გამიმართლდა,
უსამართლობამ გაშალა ფრთები,
ნაცვლად სიმართლის მოწოდებისა
მესმის ბოროტთა საზარი ხმები.

ეჰ, რა რომ გაეჩნდით თან დაგვყვა ტანჯვაც
აღურიცხველი, ვით ვარსკვლავთ კრება,
ღმერთო, თუ ძალგიძს მოგვეც დაჩ გრულთ
კაცთ შესაფერი თავისუფლება.
ბაგენი მიტომ წყევლას მოსთქვამენ,
იმდუღრებიან მიტომ თვალებიც,
რომ ერთობრივი შრომის მაგიერ
ნაწილდებიან ხალხის ძალებიც...

აგრე თუ ვივლით, რა გვეშველება,
მოგვემატება მწარზედაც მწარე.
ქვეყნის სიკეთეს, ერის იდეალს
შთანთქავს ჩვენთანვე ერთად სამარე!..

სიმონ აბაშიძე.

ახალი ამბავი

დღეს, 4 მაისის საღამოს 8 საათზე ქართული დასი გამართავს წარმოდგენას **ავადმყოფი სუფლიორის ბეგლარაძის სასარგებლოდ.** წარმოდგენილი იქნება მაქსიმ გორკის ცნობილი პიესა ,,ნაძირალნი''.

უეჭველია საზოგადოება ბლომად დაესწრობა წარმოდგენას, და მით ხელს შეუწყობს უჩინრად ნაყოფიერ სცენის მუშაკს.

✦ გუბერნატორმა ნება დართო ანნა კაპანაძეს გამოსცეს ყოველ-კვირეული ჟურნალი **«მოწაფე»,** რომელსაც მიზნათ ექმნება მოწაფეთა ზნეობრივი და გონებრივი ძალების განვითარება. სხვათა შორის, ჟურ. ,,მოწაფეში'' მოთავსებული იქმნება ისეთი წერილები, რომელნიც საყურადღებო იქნება ყველასათვის. ჟურნ. ,,მოწაფე'' არცერთს პარტიას არ ეკუთვნის და არც ექნება პარტიაზე ლაპარაკი. ჟურნალი იქმნება იუმორიულის და პედაგოგიურის განყოფილებით. ითანამშრომლებენ, როგორც მოწაფეები, ისე გარეშე პირებიც, ვინაიდგან ჟურნალი ყველას დააინტერესებს. რადგანაც ჟურნალის გამოცემას მატერიალური დახმირება ესაჭიროება, ამის გამო სარედაქციო კომისიამ დაადგინა მიმართონ ქველმოქმედთ მატერიალურ დახმარების აღმოსაჩენად.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს დანარჩენ ჟურნალ-გაზეთებსაც ამ განცხადების გადაბეჭვდას.

პროვინცია

—

სოხუმი

(ჩვენებური რამე-რუმე)

სამშაფათს, 15 აპრილს, გაიმართა ქალაქის „პარკში“, უკაცრაული სიტყვაა, სახალხო“ სეირნობა, შეუძლებელ ?ოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების მიერ. სეირნობის გამმართველთ დარი მშვენიერი დაუდგად. მხოლოდ, საზოგადოებას კი ჩვეულებრივ გულ-ცივობის გზასა არ აუხვევია.

ამავე საღამოს, იოსელიანის სათეატრო შენობაში, ადგილობრივ ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქმნა ილია ჭავჭავაძეს მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა ,,ბატონი და ყმა‘‘. თეატრში ხალხის ,,ტევა‘‘ არ იყო.

პარასკევს, 18 აპრილს, რეალურ სასწავლებლის დარბაზში, ამავე სასწაპლებლისა, შეუძლებელ მოწაფეთა სასარგებლოდ, გაიმართა საღამო. სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს გრიგოლ გეს დრამა ,,დასჯა‘‘. წარმოდგენ ის შემდეგ, გაიმართა — ცეკვა-თამაში. ,,დასჯაში‘‘ მონაწილეობას ღებულობდნენ: ქ ნნი ო. ა. გეორგობიანისა, მ. დ. ბაზილევსკისა და ე. ა. ზაპაისკისა. ბ-ნნი: ა. მ. გეორგობიანი, გ. კ. ბაზალევსკი, ი. ს. გინკულოვი, ა მ. დავიდოვსკი, ვ. კ. ინოევსკი და ერთი მოწაფე. დარბაზი მორთული იყო მცენარეულობითა, ხალიჩა-ფარდაგებით და იაპონიურ მარაო და ფანრებითა სტუმრებ-სათვის. რა თქმა უნდა, ფასით იყო: ჩაი, ყავა, ცივ საჭმელი სხვა და სხვა საჭმელები — შამპანიური ღვინითურთ

სოხუმელებს დიდი ხანია არ ენახათ ასეთი კარტა და შნოიანი საღამო, რაც, უეჭველია, მიეწერება საღამოს გამგეთ და მოთავეთ. რეალ. სასწავლებლის დირექტორ სტარენკოს და მის მეულეს, რომელნიც დიდი მადლობის ღირსნი არიან. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა ..

დიდი ყურადღება დაიმსახურა, ბევრი ტაშის ცემა და ვაშას ძახილი ერგო ქ ნ გეორგობიანისას.

შაბათს, 26 აპრილს, ქალაქის თვით მმართველობის დარბაზებში, კნ. ჯანდიერისა, კნ. გელოვანისა და კნ. ანჩაბაძისა გამგებლობით გაიმართება საღამო ილია ჭავჭავაძეს ფონდის გამაძლიერებლათ. რასაკვირველია, აქაური საზოგადოება, ჩვეულებრივ გულ-გრილობას არ გამოიჩენს და ყველანი დაესწრებიან.

11 მაისს, დანიშნულია, საქვილ-მოქმედო აზრით, ქალაქის მოედანზე დოღი. როგორც ამბობენ, ძალიან საინტერესო უნდა იქმნესო, საჩუქრები და ნობათები თითქმის ათას მანეთამდე იქნებ

ქალაქი იხდის ათას ხუთას მანეთს წლიურ სამხედრო მუსიკის დასაქირავებლად; მუსიკამ უ დაუკრას ბულვარში, ზამთრობით კვირაში ორ და ზაფხულობით — ოთხჯერ. მაგრამ აქაური მ მივი წვიმების გამო, თვეში ორხელ თუ გაიგონ მუსიკის ხმას... მუსიკის დაკვრის დანიშნულ დ თუ ავდარი გამოდგა, უცდიან შემდეგ ,,ო ციალურ‘‘ დღესა ასე რომ, თითქმის, მუდამ, ო ციალურ‘‘ დღეს წვიმა-ავდარია და მეორე დ კი მშვენიერი მზიანი დარი დგება, მაგრამ მუ არ უკრავს. სასურველია რომ ,,მუსიკის‘‘ ეს ს ჯეროვან გზაზე დააყენონ. ისედაც ქალაქის რიბ კასას რაღა 1500 მან. გადაყრა სჭირ

აგერ რამოდენიმე თვეა, რაც „დაიბადა“ სერაფიმის ელექტრო-ბიოგრაფი“ და აქაურ „აგდებული ჰყავს“. აქამდისინ „უბოდიშოთ“ გ გრძობდა ორ-სამის სურათების ჩვენებას, ისიც ვლად უშინაარსო და არა საინტერესოს

აღდგომის მეორე დღეს, ქალაქის მოედ სეირნობის დროს, რამოდენიმე „დეჟურნი“ ფონსებს, მოუკრავთ თვალი ვიღაც ახალგ (18 19 წლ.) გოგოზე, რასაკვირველია, სანამ ადაგი „ცხელი“ იყო, ყმაწვილებს გოგო წაუ ნიათ (4 კაცსა) ქალაქის მახლობლათ გორაზე იქ განუხორციელებია თავისი პირუტყული ს ვილი ამათ შემდეგ, გოგოს შეხვედრია, ვი ოსი და იმას საღდგომო „ღობალი“ წაუღვანია ვის ბინაში. გოგო ორი დღე ოსთან ყოფილ ამასობაში, ჭირისუფალს, მისი ძებნით, მთელი რე მოუვლია და როგორც იყო ოსის ბინის მიუგნია. ოსს, ჭირის-უფალისთვინ უთქვამს თქვენს წინაშე არავითარი დანაშაულობა არ მ ძღვის. პირ იქით, თქვენ „დაკარგულ“ გოგოს ტრონობა გავუწიე და „ლიმონადითა“ და საჭმელებითა ვკვებამდი.

როგორც გავიგეთ, პირველი ოთხი-საზიზ მომქმედ პირთაგან — ორი დაუტუსაღებიათ, ო კი ჯერ ვერ უპოვნიათ. საქმე კი სასამართლო გადაცემული. გოგო აღმოჩენილა აქაური მ ლეს და — ჭკუაზედ შეშლილი.

14 აპრილს საღამოს, ვიღაცეები ოცი კა დე, დაცემიათ საროსკიპო სახლს და იქაურობ მიულეწ-მოულეწიათ, „სახლის“ პატრონისთვის ჯალი და რევოლვერი წაურთმევიათ, თინაც ბ უცემიათ და უვნებლათ — შეუმჩნევლათ მიმალულ

28 აპრილს, თფილისის სახელმწიფო პ ტამ უნდა დაიწყოს გარჩევა დიდად საყურად ბო პოლიტიკური საქმისა, დამნაშავეთა სკამზე

40-მდე პირნი. „დამნაშავენი“ ყველანი თა-ლათ არიან. დამცველებათ მოწვეული არიან ილი იურისტები.

22 აპრილს, სასაფლაოს წმიდა გიორგის ეკლე-დღეობას, თითქმის მთელი სოხუმის ოლქის რებნი დაესწრენ. გიორგობაზე უმეტესობა ეგრეთ წოდებული, „დაბალი“ ხალხი. სო-წვრილ ვაჭრებმა, რაც ამ დღეს სასაფლაო-აჭრობა» გამართეს, ვერც წლის განმავლობა-აჭრებდნენ. ტაძარიც კი სავაჭრო მოედნად ეს...

როგორც შევიტყეთ, ამას წინეთ, სამხედრო რთლოს გასამართლ., სამი პირი – უკვე აქა-ციხეში დაუხვრეტიათ.

ვენი მხარის ადმინისტრაცია დიდი ფაცა-მზადებაშია პირველ მაისის დღისათვის. სხვა და ადგილებში, სოფლელს და სხვა გამვლელ-ვლელს „საეჭვო“ პირებსა „ობისკს“ არტყა-ეგების „სოციალისტური“ სული აღმოვაჩი-...

პირველ მაისის უქმობის შესახებ, მრავალი ცელი“ უკვე „დაითესა“ ..

შავი–შვილი.

—

ოზურგეთი. გაკეთდა ვორონცოვის პარკი, ლმაც იმსხვერპლა ჯერ–ჯერობით, მხოლოდ ჩინოსანი. აქ დასეირნობს აქაური ბრწყივა-არისტოკრატია, ნიკოკი, დიმიტრი, ივანე, ბა-და კომპანია. სამოქალაქო ბაღში კი მოიკა-ჯარმა „ლაგერათ“, შუა ქალაქში ეს ერ-ერთი სასეირნო ადგილია. ყვავილების მაგიერ ცენდა თეთრი კარვები.. მუზიკა ხშირად უკ-რა უჭირთ მოსეირნეთ, მათ ბედს ძაღლი დაჰყეფს, ზოგიერთი გასათხოვრები აფიცრებს ტებიან. მერე რა? მათ კარგათ ესმით „ემან-ცია“ და „პროგრესი“...

შესდგა დრამატიული საზოგადოება, რომელ-სითავეში უდგას ევროპაში „ნახახუნი“ ილი. ეს საზოგადოება, ჯერ არა მკითხე მო-წარმოადგენს, რადგანაც ჯერ მისი არსებობა რობას არ დაუმტკიცებია. სცენაც არის, ქა-თვით მმართებლობის შენობაში, სადაც მე-ობს ახალი ამპლუას არტისტი „ტრაღიკ-ი“. რას იზამს კაცი, „სადაც არ იყოს ცო-მარიყოს“...

სასწავლებელში შემოუღიათ უცხო ენების ება. ფრანგულ და გერმანულ ენებს ასწავ-ენევის უნივერსიტეტის შენობასთან კურს დასრულებული მასწავლებელი. გურულ მეგრულ-იმერულ ენებს ასწავლის სხვა.

პარტიები ძლიერ გახშირდა ამ ბოლო დროს, შესდგა ახალი ეგრედ წოდებული „დომინისტები“ მიზნათ აქვსთ, სადაც კრება მოხდება, უტიფრად ჩაერიონ და არივ-დარიონ იქაურობა.

მეეტლეებზე ნურას ვიტყვით, თუ გიხელთა, ერთ ფაიტონში თორმეტი აბაზის მაგიერ შვიდ მა-ნეთს გადაგაგლეჯიებს...

სამკითხველოში ეხლა „ვივესკის“ მეტი არა-ფერია..,

გაიხსნა ახალი წიგნის მაღაზია. სადაც გაზე-თების აგენტურაც იმყოფება, კვირაში სამი დღე დაკეტილია... გამყიდველები კი არსად სჩანან...

საწყალი ოზურგეთი, ასეთია დღეს და ხვალ ღმერთმა უწყის რა იქნება...

ბიჭი-ბიჭი.

„ცხოვრების სარკე“
(№2)

რატომ იხდით ნეტა ბოდიშს
მის გამო რაც თქვენ ილაყბეთ;
რაღას მიედ-მოედებით,
პურიშკევიჩებს რომ აჰყეთ?.
თქვენის ჯიშის თვისება ხომ
არის ორთავიანობა,
დღეს რომ ერთს აზრს დაადგეაით
ხვალ სხვაა სალიანობა.
შენ და პურიშკევიჩს ერთად,
(განა უნდა ამას ფიცი)
გულს გიფონავთ, გიყვართ მეტად
„ცენტრის“ საქმე, „ცენტრის“ მტკიცი.
„მთლიანობას“ მიტომ იცავთ
რომ ერთი გაქვთ მისწრაფებ ,
თქვენ უტოპიზმი გავალებთ,
მას კი ზუბრთა თვალთა ხედვა.
რომ ჩასძახით ერთა „მასსას“
შეერთდით და წინ გასწიეთ,
რატომ ერთხელ არ დაფიქრდით
სინამდვილე არა სწვნიეთ.
ერთს ერს უნდა მღვდელის ცოლი,
მეორეს კი - მისი ქალი
თქვენ კი კერძოთ, როგორც ქართველს,
„ივანუშკას“ - „დიდი“ რძალი
ვერ გენდობით, უკაცრავად,
ჩვენ არავის იმედი გვაქვს,
გავიფოლადებთ გულებსა,
ჩვენვე ვიხსნით ჩვენსავე თავს.
იყვეს ეგრე თქვენი ნება,
უკმიეთ „რძლებს“ საკმეველი,
ჩქარა, მალე, ულმობელნო,
აღადგინეთ ძველად-ძველი!..
თორემ, ჩუმათ!... შუქი სად ჰკრთის,
სად ანათებს აკაშკაშებს!?...
და ამ რიგად აღსასრულსა
ვით უმზადებს თქვენებრ ვაჟებს, –

დროებით ბათუმელი.



დასურათხატებული ყარიბი.

ესდეკეგის პრესა

(„სულიკოს“ ხმაზე)

„წყაროს“ ვეძებდი ანკარას
წუმპეში ჩადენილიყო,
არ გამიკვირდა, შევძახე:-
ნამდვილ, შენა ხარ, სულიკო!
„ეკალს“ ვეძებდი - სიმართლის
გარშემო მოდებულიყო,
სიყალბეს გარეთ უშვებდა....
ვუთხარ:- შენა ხარ, სულიკო!
„ცისკარს“ ვეძებდი, ვნახე რომ
ბნელეთში მიმწყვდეულიყო,
სხივი ჩაქროდა, ბეუტავდა....
სწორეთ, შენა ხარ, სულიკო!
„დასაწყისს“ ძებნა დავუწყე,
ჭორებში არ ჩამრჩვალიყო!
სიცრუის გუდას ბერავდა....
ნამდვილ, შენა ხარ, სულიკო.
„ეშმაკის მათრახს“ ვეძებდი,
ვერ ვნახე, დაკარგულიყო,—
კაზაკის ხელში ვიპოვნე:-—
ეგ კი შენა ხარ, სულიკო!

თომა ჰუსა.

რედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნია.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა „ძმობისა“ მოსკოვის ქუჩა № 5.